პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ ფიზიკურ კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

№ 12 (6077)

17 1978 წ. ოთხშაბათი.

სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფურცლთან დაკავშირებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-კოლიტიკური, ორგანიზატორული და კოორდინაციული მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, მათი ავანგარდი — კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — გადააკცევენ 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ჩვენი წვლილით — შრომის ფერხულში

საბჭოთა ადამიანებისთვის ხუთწლედის მესამე წლის დასაწყისი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენით აღინიშნა: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიმართა წერილით „1978 წლის გეგმის ძთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამ დოკუმენტში ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ფორმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, დასახულია ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები, განსაზღვრულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში პარტიისა და ხალხის მოლოდინი ამოცანები.

წერილში ჩამოყალიბებულია ნათელი პროგრამა იმისა, თუ უკეთ როგორ მოვაწყოთ ჩვენი საქმიანობა ახალ წელს, როგორ მივაღწიოთ წარმოების ეფექტიანობას და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, შემცირესი დანახარჯებით მივიღოთ უმაღლესი შედეგები.

ამისათვის მთავარია წლის პირველივე დღეებიდან უზრუნველვყოთ მუშაობის ზუსტი რიტმი, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი; აქტიურად ჩავებათ ეფექტიანობისა და ხარისხისთვის საერთო სახალხო ბრძოლაში; კიდევ უფრო განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, ავამაღლოთ მისი ქმედითობა.

ამ ამოცანათა ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლია წარმოების ეფექტიანობისთვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა. ხოლო მისი წარმატებით განხორციელებისთვის, ერთ-ერთ უმძიმეს სამუალებად მიჩნეულია უმაღლესი შრომის ნაყოფიერება. „**უდიდესი ნაყოფიერებისთვის ბრძოლა,** — ნათქვამია დოკუმენტში, — **განუყრელად არის დაკავშირებული მშრომელ ადამიანზე ზრუნვასთან. უფრო მაღალ შედეგებს იმ საწარმოებში აღწევენ, სადაც აქტიური მუშაობა წარმოებს შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად**“...

მშრომელთა დასვენების პირობების გაუმჯობესება კი თავის მხრივ წარმოუდგენელია საწარმოო კოლექტივებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საწარმოო ტანვარჯიშის, ტურიზმის ფართოდ დანერგვის, და აქედან გამომდინარე, მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისადმი ყოველდღიური ზრუნველობის გარეშე.

ცნობილია, რომ ისეთ კოლექტივებში, სადაც პატრონს არ სცემენ ფიზკულტურასა და სპორტს, გაცლებით შეტია გაცდენებისა და სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევები. ამის შედეგად, — როგორც აღნიშნულია წერილში, — „ეს დანაკარგები ყოველწლიურად მილიონობით კაცდღის აღწევს. მარტო მრეწველობაში ამ მიზეზით დაგვაკლდა სამ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია“. 1977 წლის 2 ივლისს გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ბატონ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, თუ როგორ იქცევა საწარმოო გამამხნევებელი ვარჯიშის, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემები სოციალურ ფაქტორად, საგრძნობ ეკონომიურ კატეგორიად, ეკონომიისა და ახალი რეზერვების გამოყენების უდიდეს წყაროდ. კრებაზე ითქვა, რომ

„ამ ფაქტორის წყალობით შრომის ნაყოფიერება შეიძლება 5-10 პროცენტით და მეტად გაიზარდოს!“

როგორ ვიყენებთ ჩვენთან, რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთ მძლავრ ბერკეტს, როგორიც არის ფიზიკური კულტურა?

თქმა არ უნდა, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართებით ბევრი კარგი ღონისძიება ჩატარდა, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საცხოვრებელ ადგილებზე, საწარმოო-დაწესებულებებში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების, არსებულის უფრო სრულად გამოყენების საქმეში; მრავალ მსხვილ საწარმოში ზმირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, სისტემატურად ატარებენ საწარმოო ტანვარჯიშს. ამ მხრივ კარგ მაგალითს გვიჩვენებენ ქ. ქუთაისის სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებულ უურადღებას აქცევენ საცხოვრებელ ადგილებზე ფიზიკური კულტურის ფართოდ დანერგვას, მოსახლეობის ფართოდ ჩაბმას „მშდ“ ნორმატივების ჩაბარების საქმეში. კარგი შედეგები აქვთ აგრეთვე, თერჯოლის, ვანის, თელავის, მესტიისა და სხვა რაიონების სპორტულ ორგანიზაციებს. წარმატებები გვაქვს დედაქალაქის საქარხნო, 26 კომისრის სახელობის რაიონებშიც. აქ ცდილობენ ფართოდ გამალონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, კეთილმოაწყონ საწარმოებთან არსებული სპორტული ბაზები, უურადღებით კეკდებიან საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვას, ტურიზმისა და მშრომელთა აქტიური დასვენების სხვადასხვა ფორმის გავრცელებას. **მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ როდი შეიგნო ფიზიკური კულტურის უდიდესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.** ზოგიერთი მოქალაქე, ავლენს რა ეგოიზმსაკუთრულ ტენდენციებს, საკუთარი მანქანებით ხერგავს ეზოებს, სადაც შეიძლებოდა თავისუფლად გამართულიყო სპორტული მოედანი, ზოგზოგები სხვადასხვა საქალაქო ინსტანციების „სანქციით“ გარაჟებს აშენებენ უკვე არსებული სპორტული მოედნის ადგილზე. ჯერ კიდევ დიდი ხარვეზები გვაქვს საწარმოო ტანვარჯიშის საყოველთაოდ დანერგვის საქმეში. თანაც თუ ვნერგავთ, ხშირად ვერ ვითვალისწინებთ მომუშავეთა შრომისა და პროფესიის ხასიათს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველა საბჭოთა ადამიანს, ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და მათ შორის ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ამოცანა ის არის, რომ არ უნდა შენელდეს ფართოდ გაშლილი ხაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების რიტმი, თანაც მუშაობა ისე უნდა ავაწყოთ, რომ მტკიცედ დავიცვათ ორგანიზებულობა და დისციპლინა ყველა დონეზე. ყველა უბანზე. მხოლოდ მტკიცე დისციპლინა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და დარაზმულობა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ფართოდ გავშალოთ მუშაობა ფიზიკური კულტურის მასობრივად დანერგვისთვის, რომ სპორტი ჩვენი ყოფის განუყრელი ნაწილი გავხადოთ. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უნდა ავიღოთ მტკიცე კურსი იქითკენ, რომ ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი რესპუბლიკა უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმებზე: მოსწავლეთა ზაფხულის საკავშირო სპარტაკიადაზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე და, ბოლოს, მოსკოვის ოლიმპიადაზე.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია თავიანთი წვლილი შეიტანონ და ამით მტკიცედ შეუერთდნენ იმ უდიდეს საერთო-სახალხო მოძრაობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა, მიმართულმა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი.

დღეს დასკვნითი შეხვედრებია

კაპუსკასი (ლიტვა), 16 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა XXVII ჩემპიონატებში კიდევ ორი ტურის (VII, VIII) შეხვედრები შედგა. მაგრამ ჯერ VI ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრების შესახებ. ი. ეფიმოვმა მოუგო ასანოვს (ყაზახეთი), თ. მესხი დამარცხდა შევჩენკოსთან (ესტონეთი) და ნ. მელაშვილი — ნ. სიტნიკოვასთან (ლენინგრადი).

VII ტურში სამივე ჩვენმა გოგონამ გაიმარჯვა. ქ. მელაშვილმა შაფრანსკაიასთან (ლიტვა) სტაუნტონის გამბიტი გაითამაშა, მთელი პარტია მწვავედ მიმდინარეობდა. თბილისელი მოჭადრაკე უკეთ გაერკვა გართულებებში და 45-ე სვლაზე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა. ნ. მელაშვილმა 34 სვლაში გაანადგურა ბასარგვას (მოსკოვი) პოზიცია, რომელიც სიცილიური დაცვიდან წარმოიშვა. მესხმა კარგი სტილით სძლია გლაზს (აზერბაიჯანი).

VIII ტურში კვლავ გაიმარჯვა ნ. მელაშვილმა, ამჯერად მისი მეტოქე იყო კარტანაიტე (ლიტვა). ოთხი მხედრის დებიუტში საქართველოს ჩემპიონმა ხელთ იგდო ინიციატივა და იერიში წარმატებით დაგვირგვინა 26-ე სვლაზე. მესხი დამარცხდა სიტნიკოვასთან. მან სიცილიურ დაცვაში იერიში ვერ მოიგერია. ქ. მელაშვილი შეხვდა სსრ კავშირის გოგონათა 1975 წლის ჩემპიონ ნ. რუჩიევას (სევასტოპოლი). პარტია დაუმთავრებელი დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში თბილისელ მოჭადრაკეს მოგების რეალური შანსი აქვს.

ბოლო, IX ტურის წინ (8 ტურის შემდეგ) ჩემპიონის ოქროს medlის მთავარი კანდიდატები არიან ე. სტუპინა (მიჩურინსკი) — 6,5 ქულა და ქ. მელაშვილი — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ჩემპიონის ვინაობას ალბათ გამოავლენს IX ტური, რომელიც 17 იანვარს შედგება, ნ. მელაშვილს 5 ქულა აქვს, მესხს — 4.

ჭაბუკთა ტურნირის ფინიშზე ზ. აზმაიფარაშვილმა ორივე შეხვედრა — კუპოროსოვთან (რსფსრ) და ჩერნინთან (უკრაინა) ყაიმით დაამთავრა. კუპოროსოვთან მძაფრი, მაგრამ მოკლე (32 სვლა) ბრძოლა ჰქონდა, ჩერნინთან პარტიაში ორი სვლით ნაკლები გაკეთდა, მაგრამ თამაში უფერული როდი იყო. ეფიმოვმა ორივე პარტია წააგო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან — იონოვთან და ასეევთან.

8 ტურის შემდეგ ზ. აზმაიფარაშვილს 7 ქულა აქვს. მის უახლოეს კონკურენტებს, კუპოროსოვსა და ჩერნინს — 6-6. დასკვნითს, IX ტურში ზურაბს ყაიმიც ეყოფნის ჩემპიონი რომ გახდეს. ამ დღეს მისი მეტოქე იქნება კორზუბოვი (ბელორუსია) — 5,5.

ჯ. არნშტეინი.

ᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ოსტატი თუ შეგირდი?

თბილისის ჭაბუკთა პირველობაში კიდევ ორი ტური (XII, XIII) გათამაშდა. ლიდერთა ჯგუფში არიან ი. ჩიქოვანი — 9,5 ქულა, ნინო გურიელი — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გ. ციხელაშვილი — 7 (1), ი. ცქიტიშვილი — 7, ზ. ლიფონავა — 6,5 (1), ვ. ვეფხიშვილი, ა. ხუციშვილი — 6,5-6,5.

საანგარიშო ტურებში ჩიქოვანი შეხვდა მოჭადრაკე ქალებს — თ. ხუგაშვილსა და გურიელს და ორივეს დაუხავდა. მეორე პარტია გურიელს ა. წერეთელთან გადადებული აქვს.

ბოლო ტურებში დიდი წარმატებით ითამაშა გ. ვეფხიშვილმა, რომელმაც ზედიზედ სძლია დ. ჯაფარიძეს, ცქიტიშვილსა და მ. მაჩაიძეს. ა. ფრიდონოვმა 2,5 ქულა მოაგროვა. გ. მაჭარაშვილმა XIII ტურში მოუგო ციხელაშვილს, რომელმაც მანამდე ოთხ პარტიაში 3,5 ქულა დააგროვა. ფრიდონოვსა და მაჭარაშვილს 6-6 ქულა აქვთ. ზედიზედ სამჯერ დამარცხდა ვეტერანი ვ. მიქაელიანი (5,5).

მონაწილეებს სათამაშო დარჩათ ოთხ-ოთხი პარტია. ახლა ყველას აინტერესებს ჩიქოვან — გურიელის დუელი ჩემპიონის სახელისთვის.

• • •

სურათზე: ოსტატი ი. ჩიქოვანის (მარჯვნივ) შეხვედრა ოსტატობის კანდიდატ ა. ხუციშვილთან.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.



ᲥᲘᲓᲐᲝᲑᲐ

საქართველოს დინამოელთა წარმატება

ლენინგრადში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 175 სპორტსმენმა, მათ შორის საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მოჭიდაველებმა (მწვრთნელები სპორტის ოსტატები თ. გოგოლაძე და გ. ფასურიშვილი). ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ბ. ღვინჯილიამ (65 კგ. სოხუმი) და ი. ლიპარტიამ (71 კგ. თბილისი). მეორე ადგილებზე არიან თბილისელები დ. კუხალეიშვილი (62 კგ) და ლ. გოგიბედაშვილი (74 კგ). მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ თბილისელებს ნ. ქრბულაშვილს (41 კგ), გ. კაციტაძეს (47 კგ), ვ. შანშიაშვილს (50 კგ) და ქუთაისელ მძიმე წონის მოჭიდაველს მ. კენჭაძეს.

გ. ამირიძე.

ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც შარშან 2 ივლისს გაიმართა, გახდა მთავარი ტრამპლინი რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ახალი, გადამწყვეტი აღმავლობისთვის. ჩვენი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი უბანი სასიკეთო ცვლილებებს განიცდის საქართველოს ყველა კუთხეში.

ამ მიმართებით თვალსაჩინო ძვრები შეინიშნება რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, ქალაქ ქუთაისში და ამის კარგი დასტურია ფიზიკურ კულტურაში ქალაქის მოსახლეობის ფართოდ ჩაბმისთვის გაშლილი საქმიანობა, სპორტული ბაზების მშენებლობის აქამდე არნახული მასშტაბები: უკვე აიგო მძლეოსნობის მანეჟი და მასთან — ჭიდაობის სპეციალური დარბაზიც, მიმდინარეობს ორი საცურაო აუზისა და ფარიკაობის დარბაზების მშენებლობა. ქალაქმა გადაჭარბებით შეასრულა მშდ ნიშნოსნების, აგრეთვე, თანრიგოსნებისა და სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმები. ქუთაისელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან მრავალ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში.

ᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲙᲔᲜ — ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ

ᲛᲐᲦᲐᲚᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ, ვაჟკაცური თამაშით (განსაკუთრებით გასული საფეხბურთო სეზონის დასკვნითს ნაწილში) გაახარა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ქუთაისის „ტორპედომ“. თუმცა გუნდს გამოაკლდა სამი წმყვანი მოთამაშე — კოსტავა, შენგელია და გაბელია, — მან არა მარტო შეინარჩუნა ჰოზიციები „ა“ კლასის პირველ ლიგაში, არამედ პირველ ათეულშიც გაინაღდა ადგილი.

ყოველივე ეს უდავოდ მიგვანიშნებს ამ თვითმყოფადი კოლექტივის მაღალ პოტენციურ შესაძლებლობებზე და გუნდის წინაშე სახავს ახალ პერსპექტივებს, რთულ და საპატიო ამოცანებს.

• • •

რა პირობებია საჭირო, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას მომავალ საფეხბურთო სეზონში, რეალურად იფიქროს პირველი ლიგის გუნდებს შორის ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის?

სწორედ ამ საკითხზე გაიმართა საქმიანი და მეტად სასარგებლო საუბარი 13 იანვარს, ქუთაისის სპორტკომიტეტში გამართულ გუნდის კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა,** საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრი **ი. ბოჭორაძე,** გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი, საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრი **ა. ბასლაია,** ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **ლ. აბვლედიანი,** გუნდის ხელმძღვანელობა, სპორტსმენები.

ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **რ. ძოძუაშვილმა** აღნიშნა, რომ კოლექტივი, რომლის რიგებში ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეა, უკვე 15 დეკემბრიდან შეუდგა ინტენსიურ წვრთნას. გუნდში მეგობრული, ნამდვილად სპორტული ატმოსფეროა, ყველა ფეხბურთელი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს საწვრთნელი პროცესის ყოველი საათი, გაიმდიდროს ტექნიკური არსენალი, აიმაღლოს ფიზიკური მომზადების დონე...

შ. ოქროპირაშვილი (გუნდის კაპიტანი): — უკვე ის ფაქტი, რომ წელს გუნდი ძირითადად უცვლელი სახით, სტაბილური შემადგენლობით გამოვა და ჩვენს რიგებს არ აკლდება არც ერთი წამყვანი მოთამაშე, წარმატების რწმენას გვიორკეცებს და, ვფიქრობ, ჩვენს გულშემატკივრებს იმედებს არ გაუუწყიებთ...

მ. კვერნაძე: ყველას ვინც დღეს „ტორპედოს“ სახელს ვიცავთ, გადაწყვეტილი გვაქვს თავი არ დავზოგოთ, ნამდვილი ფეხბურთი ვითამაშოთ...

დ. მჭედლიძე: დიდი ხანი არ არის, რაც „ტორპედოში“ მოვედი, მაგრამ უკვე შემიძლია ვთქვა, რომ იგი ნამდვილი მეგობრული კოლექტივია, ძალიან მომწონს წვრთნის პროცესი.

ვ. შელია: ახალ სეზონში შევეცდებით ვთქვათ „ჩვენი სათქმელი“.

ბ. ფარულავა: ჩვენს გამოსვლებს რომ მთელი საქართველო ინტერესით ადევნებს თვალს, ყველამ კარგად ვიცით, ეგრძნობთ ხალხის სიყვარულს და მხარდაჭერას, ისიც ვიცით, რომ ამას გამართლება უნდა. შრომა, ვარჯიში, კარგი თამაში, აი, ამით ვფიქრობთ გადავუხადოთ ქომაგებს ამაგი წლევანდელ სეზონში.

თ. სულაქველიძე: ფეხბურთელი, თუ ის მონდომებით და გულდაგულ თამაშობს, ყველგან გამოიჩენს თავს, მაგრამ როდესაც გრძნობ მშობლიური ქალაქის მცხოვრებთა სიყვარულს, განსაკუთრებით იმ მრავალათასიანი და მოწინავე შრომითი კოლექტივის მხარდაჭერას, რომლის სახელითაც შინდორზე იბრძვი, ძალა და ენერგია გიორკეცდება. ამან ბევრი დაბრკოლება დაგვაძლევინა გასულ სეზონშიც...

კ. ხურციძე (მწვრთნელი): ის, რომ გუნდი ფაქტიურად „ხელუხლებელი“ დარჩა წელს, უკვე დიდი და საქმიანი დახმარებაა ტორპედოელთათვის, მაგრამ ზოგიერთ ფეხბურთის კოლექტივს თითქმის გამოუყენებელი ჰყავს არა ერთი პერსპექტიული მოთამაშე და ეს იმ დროს, როდესაც „ტორპედოს“ შემადგენლობაში მხოლოდ 16 კაცია, სეზონი კი გრძელია და მომქანცველი...

• • •

ტორპედოელთა წინასაფეხბურთო სამზადისისა და, საერთოდ, ქალაქის სპორტული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ საუბარი გაგრძელდა მეორე დღესაც, ამჯერად საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში, სადაც თბილისიდან ჩასულ სტუმრებს და სპორტის ადგილობრივ მესვეურებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. რუხაძე,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. კაკაურიძე,** პარტიის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **დ. მონიავა,** ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **რ. მხეიძე.**

შეხვედრის დროს აღინიშნა ის პოზიტიური ძვრები, რაც უკვე თვალნათლივ იგრძნობა ფიზკულტურული ცხოვრების ყველა უბანზე რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ; ხაზი გაესვა ფიზკულტურისა და სპორტის როლს ქალაქის მშრომელთა მიერ მოპოვებულ სასახელო წარმატებებში, აგრეთვე, სპორტში მიღწეული გამარჯვებების მნიშვნელობას მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღინიშნა ტორპედოელთა გამოსვლები. ავტოქარხნელთა გუნდი, რომელიც იცავს შესანიშნავი შრომითი ტრადიციების მქონე დიდი კოლექტივის სახელს, მოვალეა აჩვენოს მაღალტექნიკური, ლამაზი თამაში, წარმატებით გამოვიიეოს მომავალ საფეხბურთო სეზონში, საქართველოს სპორტკომიტეტის, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და ქმედითი დახმარება კი ამ წარმატებათა მყარი გარანტია იქნება.

გუნდის პერსპექტივებზე, ახალი და საპატიო ამოცანების მისაღწევად დასახული გზების ეფექტურად გამოყენების საშუალებებზე მსჯელობამ მოიცვა ყველა იმ საკითხთა კომპლექსი, რომლის გათვალისწინების გარეშე სპორტში წარმოუდგენელია რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი.

ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲛᲐ მოსაზრებებმა გამოკვეთეს საერთო აზრი — ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდს, რომელიც დაეყრდნობა პირველ რიგში სახელოვანი ავტოქარხნის შრომითი კოლექტივის, ქალაქისა და რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერას, თამამად შეუძლია გადაჭრას მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები.



Ო. Ე. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ



შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე გარდაიცვალა ოთარ ელგუჯას ძე ლორთქიფანიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, გაზეთ „მოლოდიოუ გრუზიის“ რედაქტორი. ქართულმა საბჭოთა ჟურნალისტიკამ მძიმე დანაკლისი განიცადა. იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან და განუზორციელებელი დარჩა ბევრი საინტერესო შთანაფიქრი და გეგმა.

ო. ლორთქიფანიძე 1935 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში, ბავშვობიდანვე გატაცებული იყო თეატრით, ხელოვნებით, ლიტერატურაშიც სცადა ბედი. 1955 წელს ო. ლორთქიფანიძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. უკვე სწავლის წლებში მან საინტერესო, საზრიანი და პერსპექტიული ჟურნალისტის სახელი მოიხვეჭა. სტუდენტობის წლებშივე დაიბეჭდა პრესაში მისი პირველი პუბლიკაციები.

1961 წლიდან ო. ლორთქიფანიძე რესპუბლიკური პარტიული გაზეთის „კომუნისტის“ თანამშრომელია. აქ დაოსტატდა ახალგაზრდა ჟურნალისტი, აქ ჩამოყალიბდა მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და პოლიტიკური გამჭრიახობა და ყოველივე ეს აისახა მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სიახლე და ორიგინალური აზროვნება, მახალის, თანამედროვის ცხოვრების ცოდნა, სიცხადე და დამაჯერებლობა.

ო. ლორთქიფანიძეს იტაცებდა უაღრესად აქტუალური თემები, პრობლემები, რომლებითაც რესპუბლიკა და მისი საზოგადოებრიობა ცხოვრობდა. სხვადასხვა დროს ო. ლორთქიფანიძე გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე აშუქებდა მრეწველობისა და ტრანსპორტის, საერთაშორისო ცხოვრების საკითხებს და გამოავლინა დიდი ერუდიცია, პარტიულობა, პატიოსნება და მოქალაქეობრივი პრინციპულობა.

ადამიანის მიმართ კეთილმოსურნეობამ, გულისხმიერებამ და პატივისცემამ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობამ, არაჩვეულებრივმა ჟურნალისტურმა ხელოვნებამ ო. ლორთქიფანიძეს დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭეს მკითხველებსა და კოლეგებში.

1968 წელს ო. ლორთქიფანიძე სასწავლებლად გაიგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1970 წელს. სწავლის წლებში შეძენილი ცოდნა, მტკიცე იდეური წრთობა დაეხმარა მას კიდევ უფრო ღრმად, კიდევ უფრო გულმოდგინედ ემსახურა საყვარელი საქმისათვის — ჟურნალისტიკისათვის.

1978 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „მოლოდიოუ გრუზიის“ რედაქტორად და ამრიგად გაიარა გზა კორესპონდენტიდან რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთის ხელმძღვანელამდე.

რედაქტორის პოსტზე სრულად გამოვლინდა ო. ლორთქიფანიძის როგორც კარგი ორგანიზატორის, გულისხმიერი ხელმძღვანელის ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით ეს გაზეთი გახდა რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნამდვილი მეგობარი და მრჩეველი, საქართველოს კომკავშირის მებრძოლი რუპორი.

როგორც გაზეთის რედაქტორი და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ო. ლორთქიფანიძე აქტიურად მუშაობდა, რათა დაერაზმა ახალგაზრდობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. აუმაღლებინა კომკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობა, გაედიდებინა მათი ქმედითი მონაწილეობა რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებში.

იგი შესანიშნავად გრძნობდა დროის მაჯისცემას, განუხრელად ახორციელებდა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შესახებ პარტიის მოთხოვნებს და ახალგაზრდულ პრესაში ბევრი საინტერესო საქმის წამომწყები იყო, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვიეს.

რედაქტორის პასუხსაგებ მუშაობასთან ერთად ო. ლორთქიფანიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტსა და ა. ხ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, დღენიადაგ ზრუნავდა იმაზე, რომ ჟურნალისტიკაში მოსულიყო ნიჭიერი ახალგაზრდობის ახალი ცვლა, რომელიც ღირსეულად განაგრძობს ქართული საბჭოთა პრესის საუკეთესო ტრადიციებს.

ო. ლორთქიფანიძე არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და რესპუბლიკის ალკკ XXX ყრილობის დელეგატად.

მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია, მთელი თავისი ნიჭი ო. ლორთქიფანიძემ მთლიანად ახალგაზრდობას, გაზეთს, ხალხისა და სიმართლის სამსახურს შეალია. მისი ცხოვრება პარტიისა და ხალხის საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. ნ. პასტუხოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პაპიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, უ. კ. შარტავა, ა. პ. დერევიანკო, ლ. კ. კორნეშოვი, ვ. გ. ვოლჩიხინი, ვ. პ. გროშევი, გ. ვ. გედინეიშვილი, გ. ნ. ენუქიძე, მ. ა. ასლანიკაშვილი, ე. ს. ზენაიშვილი, ვ. ი. კადენეცი, ნ. მ. ლეკიშვილი, ჰ. გ. მელაძე, ჯ. ა. ნინუა, ი. ნ. ორჯონიკიძე, მ. ნ. ფაჩუაშვილი, ვ. დ. შუბლაძე, თ. შ. ხარშილაძე, ვ. გ. ანასტასიადი.

ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲒᲐᲪ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ არასოდეს დასმულა საკითხი ველოსპორტის სექციის ჩამოყალიბების თაობაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1960 წლიდან მცხეთელები მაინც გამოდიოდნენ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადებში. დაგვეთანხმებით, ამ 4-5 კაციანი „მოყვარულთა“ კოლექტიეებით შორს ვერ წახვალ.

და. აი, ბოლო წლებში, მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გადაწყვეტილებით, მოსწავლეთათვის აუცილებელ სახეობად გახადეს ველოსპორტი. მცხეთის განათლების განყოფილებამ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი მცხეთაში ველოსპორტის სექციის ჩამოყალიბების შესახებ. სამინისტრომ მცხეთელთა თხოვნა დააკმაყოფილა — ქალაქის კომპლექსურ სკოლაში ველოსპორტის წრე ჩამოყალიბდა.

სექციის წევრებს პირველად სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლაში გამოუყვეს ოთახი, შეეძინეს ინვენტარი: 20 ველოსიპედი, ტატლიანი მოტოციკლი. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მცხეთის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს თ. აბესაძეს. სექცია შეუდგა მუშაობას და ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. ველოსიპედისტებს სექციის დაარსების დღიდან სპორტის ოსტატობის კანდიდატი ე. ნებიერიძე ხელმძღვანელობს.

1977 წლის სექტემბრიდან ნორჩ ველოსიპედისტებს უფრო შოხერხებული და ნათელი ოთახი დაუთმეს სოფელ წეროვნის საშუალო სკოლაში.

მე-5, მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეები კვირაში სამჯერ ვარჯიშობენ, რა თქმა უნდა, წინასწარ შემუშავებული გეგმით. მათ კონსულტაციას უწევენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე და სპორტის ოსტატი მ. ჯობაძე. ველოსპორტის სექციაში მცხეთის რაიონის სხვადასხვა სოფლის 15-მდე ნორჩი სპორტსმენია გაერთიანებული.

ველოსპორტის სექციაში დიდი ყურადღება ექცევა საერთო ფიზიკურ მომზადებას. უამინდობის დროს ისინი ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს სხალტბა — შიო-მღვიმის მთაგორიან ადგილებში, ატარებენ მძლეოსნურ კროსებს.

... 1977 წელს მცხეთის კომპლექსური სპორტსკოლის ველოსიპედისტებმა საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე მეორე ჯგუფის გუნდებს შორის 1 ადგილი დაიკავეს...

— და მაინც, ხელისშემშლელ პირობები მრავლად გვაქვს, — გვითხრა ე. ნებიერიძემ, — ინვენტარის ნაკლებობა გვაწუხებს, გვჭირს სათადარიგო ნაწილების, განსაკუთრებით კი საბურავების შეძენა. გამოდარებისთანავე გზატკეცილზე გადავინაცვლებთ, ველოსიპედები კი არასაიმედოა...

თ. ᲥᲘᲥᲐᲫᲔ.

• • •

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვარჯიშობენ მცხეთელი ველოსიპედისტები.

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორია გზა არგენტინამდე

რეკორდების რეგისტრაცია ფეხბურთში არ ხდება.

ვინ რამდენი გოლი გაიტანა ერთ ტურნირში? რეკორდისთვის უვარგისი მასალაა რამდენიმე მიზეზით.

ვინ მისცა უკეთესი პასი პარტნიორს? ვინ უფრო დიდი ანგარიშით მოიგო თამაში? სტატისტიკის მოყვარულს თავისი ჩანაწერებისთვის სხვა უფრო უმნიშვნელო მასალაც გამოადგება, მაგრამ რეკორდების რეგისტრაცია ამ მონაცემების საფუძველზე არ ხდება. რეკორდს სხვა ბუნება აქვს, სხვა საზომი. დაპირისპირების ფორმაც აქ სხვაგვარია.

საფეხბურთო რეკორდების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ერთი მიმართულებით.

მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატის ფინალურ მატჩს მარაკანაზე 215.500 მაყურებელი დაესწრო. ეს რეკორდია, თან ისეთი, რომელსაც ჯერჯერობით მსოფლიოში ცნობილმა ვერც ერთმა სტადიონმა ვერ გადააჭარბა. ევროპაში ამ რეკორდის ჭერი უფრო დაბალია, სამაგიეროდ სტადიონებიც იქ უფრო მცირე ზომისაა. ევროპის ოფიციალური რეკორდი გლაზგოს „ჰემდენ-პარკის“ სტადიონს ეკუთვნის — 149.547 მაყურებელი.

თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა კვალი საფეხბურთო აუდიტორიასაც დაატყო. მსოფლიოს მეათე ჩემპიონატის ტელერეპორტაჟებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან თვალყურს ადევნებდა ასობით მილიონი ადამიანი, არგენტინის მომავალ ჩემპიონატს კი, წინასწარი ვარაუდით, მილიარდიანი აუდიტორია ეყოლება.

აი ეს მართლაც უნიკალური რეკორდი იქნება.

ფეხბურთს ადამიანის ცხოვრებაში დიდი როლი და ადგილი აქვს განკუთვნილი. როგორც სპორტული სანახაობა იგი, რა თქმა უნდა, ემორჩილება გატანილი და მიღებული ბურთების შედარების მარტივ კანონებს. მაგრამ დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ფეხბურთი, ამავე დროს, სახელმწიფოებრივი მოვლენაა და ზოგჯერ ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურასაც განსაზღვრავს:

ერთხელ, ურუგვაისა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციების უთანხმოება სახელმწიფოებრივი კრიზისის მიზეზი გახდა. მხოლოდ მთავრობის მეთაურთა ჩარევის შემდეგ აღდგა რამდენადმე ნორმალური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებს შორის. მეორედ, ეს უკვე სამიოდე წლის წინ მოხდა, ფეხბურთთან დაკავშირებული უნიშვნელო ინციდენტი დასავლეთ გერმანიისა და შვეიცის სავაჭრო ფირმებს შორის მწვავე ეკონომიურ კონფლიქტში გადაიზარდა. იმასაც ამბობენ, რომ 30-იან წლებში სალვადორმა ფეხბურთის მიზეზით დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა გვატემალასთანაც.

ეს და ბევრი სხვა კურიოზი იმის მაგალითად უფრო გამოდგება, თუ როგორ არ უნდა განვითარდეს საფეხბურთო ურთიერთობანი ქვეყნებს შორის. მაგრამ ფეხბურთის პოპულარობა დღითი დღე იზრდება და ხშირად სხვადასხვა მოულოდნელი ფორმით ვლინდება ჩვენს სინამდვილეში.

... 1930 წლის 30 ივლისი. მონტევიდეო. ურუგვაიმ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი მოუგო არგენტინას. დეპუტატთა სასახლეში ამის გამო პარლამენტის სხდომა შეწყდა. მთავრობის მეთაურები მწყობრი ნაბიჯით გაეშურნენ სტადიონისკენ, რათა პირადად მიელოცათ გამარჯვება ჩემპიონისთვის. ოფიციალური სახელმწიფოებრივი დეკრეტით სახალხო კარნავალი მონტევიდეოში ერთ კვირას გაგრძელდა...

... 1966 წლის 29 ივლისი. მსოფლიოს მერვე ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინა დღე. პრემიერ-მინისტრი ვილსონი სახელდახელოდ სწყვეტს საქმიან ვიზიტს შტატებში და ლონდონისკენ მოფრინავს. სამეფო ლოჟაში მას ელოდება ადგილი ინგლისის დედოფლისა და მისი მეუღლის გვერდით...

ასე იყო ყველა დროს. ასეა ახლაც, მისი უდიდებულესობა ფეხბურთი ძლევამოსილად დაბიჯებს ჩვენს პლანეტაზე.

ფეხბურთი, როგორც სანახაობა სტადიონის მწვანე მინდორზე იწყება. ეს მისი მთავარი განზომილებაა, ვინაიდან აქ ეყრება საფუძველი სპორტსმენისა და კოლექტივის ოსტატობას. აქ იმალება საყოველთაოდ ცნობილი სისტემები და სქემები — თამაშის მომავალი სტრატეგია და ტაქტიკა. აქ ზეიმობს გამარჯვებას, აქ მისტირის უიმედოდ წაგებულ ბრძოლას ნამდვილი გულშემატკივარი, აქ ღვივდება უსაზღვრო სიხარული ან გულისტკივილი — ფეხბურთი ჯერ კიდევ სპორტული სანახაობაა.

მერე კი, როცა სატელევიზიო არხებსა და სისტემებს თამამი ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადააქვთ, ფეხბურთი სპორტის კონტროლის სფეროდან გამოდის და უფრო გლობალურ მნიშვნელობას იღებს. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი ესტაფეტა (მწვანე მინდორი — მილიარდიანი აუდიტორია) ამავე დროს, ფეხბურთის პოპულარობის უმოკლესი გზაა ჩვენს საუკუნეში. აქ იწყება უკვე ფეხბურთის ქეორე განზომილება.

სამყაროს სხვადასხვა კუთხეში ფეხბურთი სხვადასხვაგვარად ესმით. ყველგან ერთნაირად მას ვერც აღიქვამენ, ვინაიდან ჩრდილოეთის ხალხი უფრო თავდაჭერილია, სამხრეთისა კი — უფრო თავაშვებული და ემოციური. მართალია, ორივეს ფეხბურთის სიყვარული აერთიანებს, მაგრამ ამ სიყვარულის გამოსახატავად სხვადასხვა ხერხებსა და ფორმებს პოულობენ.

რაღა შორს მივდივართ, ხშირად ერთ ქვეყანაშიც ეს სიყვარული გაუგებრადაა დიფერენცირებული. შოტლანდიაში, მაგალითად, „გლაზგო რეინჯერსს“ მხარს უჭერენ პროტესტანტები, „სელტიკს“ — კათოლიკეები. ესეც თქვენი ფეხბურთი, სპორტული სანახაობა. აღნიშნული გუნდების შეხვედრა მეტწილად რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლას უფრო ჰგავს, ვიდრე სპორტულს.



1950 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი „მარაკანას“ (ბრაზილია) სტადიონზე. პირველი გოლი მასპინძელთა კარში (გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 2:1).

ჟ. ფეხბურთის მეორე განზომილება

Argentina'78

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის სამშობლოშიც გულშემატკივართა არმია დანაწევრებულია. ტორსიდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ერთიანდება — როცა ეროვნული ინტერესებია დასაცავი. საკლუბო ფეხბურთი კი ამ ზღვა ხალხს ორ მტრულ ბანაკად ყოფს. ერთი ბანაკია რიო-დე-ჟანეიროში, მეორე — სან-პაულში. პირველს კარიოკასი ქვია, მეორეს—პაულიცისი.

ტორსიდა არასდროს არ ყოფილა პასიური მეთვალყურე. გულშემატკივართა დარაზმული დ. მშვიდობისმოყვარე მასა. ეს არც მის გაქანებას შეეფერება და არც ხასიათს. პირიქით, ტორსიდა ფეხბურთის მოყვარულთა მოქმედი და აქტიური ნაწილია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ნერგავს თავის შეხედულებებს ბრაზილიურ ფეხბურთში.

1962 წელს ჩილეში გამგზავრების წინ ტორსიდამ ულტიმატუმი წაუყენა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს მორეირას (ფეოლა მაში ავად იყო) და ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობას. ასეთი რამ ადრეც მომხდარა ბრაზილიურ ფეხბურთში, მაგრამ ამჯერად ულტიმატუმის შინაარსი ერთობ უცნაური იყო. შორეირას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ზუსტად ის გუნდი უნდა გამოეყვანა, რომელმაც ოთხი წლის წინ მოიგო ოქროს ქალღმერთი. ამავე დროს, ტორსიდა მოითხოვდა იმ თვითფინანსური მგზავრობას, რომელმაც ბრაზილიის გუნდი შვეიცაში ჩაიყვანა. და კიდევ ერთი პირობა: ეკიპაჟიც ოთხი წლისწინანდელი უნდა ყოფილიყო უსათუოდ და სტიუარდესების შემადგენლობაც.

მწვრთნელმა, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ მიიღო ულტიმატუმის ყველა პუნქტი, ხოლო ასოციაციამ მგზავრობის უზრუნველყოფა იკისრა, თუმცა ლონდონში გამგზავრების წინ ფეოლას კონფლიქტი მოუვიდა ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობასთან და რაც კიდევ უფრო საშიში იყო, პრესასთან. ჯიუტმა მწვრთნელმა მაინც თავისი გაიტანა და წემადგენლობაც ისეთი შეარჩია, როგორიც სურდა. ტორსიდამ, ცხადია, ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ ინდიანი იყო დარწმუნებული წარმატებაში, რომ დროებით დუმილი არჩია.

უნგრეთთან პირველი მარცხი ჯგუფურ ტურნირში შოკს უფრო ჰგავდა. ბოლომდე ამ მარცხის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იყო გააზრებული. პორტუგალიასთან წაგების შემდეგ კი დიდი გუნდი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომლის გამოსწორებაც უკვე შეუძლებელი იყო. შეილახა უძლეველი გუნდის ავტორიტეტი, შეირყა ბრაზილიური ფეხბურთის პრესტიჟი და როგორც კი კატასტროფის მიზეზების ძიება დაიწყო, გაწირულ-ებული ტორსიდას წინაშე ჯიუტი ფეოლას სა[illegible] ღიმართა.

1966 წელს ლივერპულში, „გუდისონ პარკის“ სტადიონის გასახდელის წინ ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა ფეოლას სამაგალითო დასჯა მოითხოვეს. პოლიციელთა გაძლიერებულმა რაზმმა რის ვაი-ვაგლახით მოგერია ტორსიდას პირველი იერიშები. მაგრამ იგი არ ცხრებოდა:

— მოგვეცით ფეოლა, ჩვენ თვითონ გავუსწორდებით გაბერილ ტომარას!

— ფეოლა ამ კარებიდან ვერ გავა თავისი ფეხით!

— ფეოლას არა აქვს სიცოცხლის უფლება.

მაგრამ უცხო ქვეყანაში, სამშობლოსგან ათასობით კილომეტრის დაშორებით ტორსიდა ისეთ აგრესიულ და საშიშ ძალას არ წარმოადგენდა, როგორც შინ. ამიტომ მან ბოლმა გულში ჩაიკლა ახალი ანგარიშსწორების მოლოდინში.

სან პაულუში კი... ტორსიდას პირველი რეაქცია ფეოლას სახლის განადგურება იყო. ასე დაიწყო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ამაზრზენი შურისძიება. პოლიციამ საქმეში ჩარევა, რა თქმა უნდა, ვერ გაბედა — მისი რეაქცია უსათუოდ აღშფოთებას გამოიწვევდა ქვეყნის მასშტაბით. ერთადერთი კეთილი და გონივრული საქმე, რაც მან მოიმოქმედა, ის იყო, რომ ღამით, უჩუმრად, გაუბედურებული და განადგურებული მწვრთნელის ოჯახი ქალაქიდან გაიყვანა და მეზობელ პროვინციაში გადამალა.

მაგრამ გაბოროტებული ბრბოს დაშოშმინება უკვე შეუძლებელი იყო. ქუჩებში ბობოქრობდა და მძვინვარებდა ტორსიდა. სან-პაულუსა და რიო-დე-ჟანეიროს მთავარ მოედნებზე რამოდენიმეჯერ გაასამართლეს მწვრთნელი. ყოველი ასეთი გასამართლების შემდეგ განაჩენის ტექსტს დეპეშით აგზავნიდნენ ლონდონში. ბრაზილიის გუნდს აეკრძალა სამშობლოში დაბრუნება. გამთენიისას ფეოლას სახლის წინ დაწვეს მისი სამმეტრიანი ფიტულა.

... ფეხბურთის

... ეორე განზომილება

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის სამშობლოშიც გულშემატკივართა არმია დანაწევრებულია. ტორსიდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ერთიანდება — როცა ეროვნული ინტერესებია დასაცავი. საკლუბო ფეხბურთი კი ამ ზღვა ხალხს ორ მტრულ ბანაკად ყოფს. ერთი ბანაკია რიო-დე-ჟანეიროში, მეორე — სან-პაულუში. პირველს კარიოკასი ქვია, მეორეს—პაულიცისი.

ტორსიდა არასდროს არ ყოფილა პასიური მეთვალყურე. გულშემატკივართა დარაზმული დ. მშვიდობისმოყვარე მასა. ეს არც მის გაქანებას შეეფერება და არც ხასიათს. პირიქით, ტორსიდა ფეხბურთის მოყვარულთა მოქმედი და აქტიური ნაწილია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ნერგავს თავის შეხედულებებს ბრაზილიურ ფეხბურთში.

1962 წელს ჩილეში გამგზავრების წინ ტორსიდამ ულტიმატუმი წაუყენა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს მორეირას (ფეოლა მაში ავად იყო) და ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობას. ასეთი რამ ადრეც მომხდარა ბრაზილიურ ფეხბურთში, მაგრამ ამჯერად ულტიმატუმის შინაარსი ერთობ უცნაური იყო. შორეირას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ზუსტად ის გუნდი უნდა გამოეყვანა, რომელმაც ოთხი წლის წინ მოიგო ოქროს ქალღმერთი. ამავე დროს, ტორსიდა მოითხოვდა იმ თვითფინანსური მგზავრობას, რომელმაც ბრაზილიის გუნდი შვეიცაში ჩაიყვანა. და კიდევ ერთი პირობა: ეკიპაჟიც ოთხი წლისწინანდელი უნდა ყოფილიყო უსათუოდ და სტიუარდესების შემადგენლობაც.

მწვრთნელმა, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ მიიღო ულტიმატუმის ყველა პუნქტი, ხოლო ასოციაციამ მგზავრობის უზრუნველყოფა იკისრა, თუმცა ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 253, 254 (1977 წ.).

გაგრძელება იქნება.

ჭაღათბურთი

ილბლიანი სტარტი

ნიუ იორკი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც ოკეანისგადმა ტურნე ლოს-ანჯელესში დაიწყო, შეხვდა სტუდენტთა შორის აშშ-ის ათგზის ჩემპიონს — კალიფორნიის უნივერსიტეტის „იუკლას“. ძირითადი დროის დამთავრებას 2 წამი აკლდა, რომ ივანოშამ ზუსტად ტყორცნა და გამარჯვება მოუტანა საბჭოთა ნაკრებს — 80:79 (37:35).

15 ათასი გულშემატკივარი იშვიათი სანახაობის — თავის მოედანზე „დიდი დათვების“ (ასე ეძახიან „იუკლას“ მოთამაშეებს) დამარცხების მოწმე გახდა. კალიფორნიის უნივერსიტეტს კალათბურთის დიდი ტრადიციები აქვს. აქ ბევრი გამოჩენილი ოსტატი აღიზარდა, მათ შორის ცნობილი ალსინდორი.

„იუკლას“ ახასიათებს მუდმივ პრესინგზე და სპორტსმენთა ფიზიკურ მონაცემებზე დაძყარებული ძალისმიერი თამაში დაცვაში, ფართან ძლიერი თამაში და ელვისებური კონტრშეტევა.

მიუხედავად მასპინძელთა დიდი ავტორიტეტისა, სტუმრებმაც პრესინგს მიმართეს და მაშინვე გავიდნენ წინ ერიომინისა და ტკაჩენკოს (მე-9 წუთზე მას უკვე ოთხი პერსონალური შენიშვნა ჰქონდა მიღებული) ზუსტი ტყორცნების შემდეგ. მაგრამ მალე ამეოიკელებმა, რომელთაგან გამოირჩეოდა გრინვუდი (სიმაღლე — 210 სმ), გაათანაბრეს ანგარიში. როცა ტკაჩენკო ბელოსტენინ შეცვალა, მასპინძლებმა უპირატესობას მიაღწიეს. მაგრამ სალნიკოვის, პოპკოვისა და ერგილიის შედეგიანმა თამაშმა ჩვენს გუნდს საშუალება მისცა პირველი ტაიმი 2 ქულის უპირატესობით დაემთავრებინა.

მას შემდეგ, რაც ტკაჩენკომ მეოთხე პერსონალური შეხებაც მიიღო და მოედანი დატოვა, ამერიკელები კვლავ დაწინაურდნენ. მაგრამ აქ მასპინძელთა ფარეშვენ კარგად ითამაშეს ერგილიამ და მიშკინმა. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა წარიმართა ბოლო 9 წუთის განმავლობაში, როცა ანგარიშში 13-ჯერ იყო ფრე. თამაშის დამთავრებას 29 წამი უკლდა, რომ გრინვუდმა (მის ანგარიშზეა 22 ქულა) კარგად გამოიყენა ორი საჯარიმო და წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ამას მოჰყვა ივანოშას გამარჯვების მომტანი ტყორცნა.

ამ მატჩში ერგილიამ თავის აქტივში 25 ქულა ჩაიწერა, სალნიკოვმა და ტკაჩენკომ — 15-15. (საკოესი).

სროლა

ვინსკში. ბელორუსიის ტყვიის მსროლელთა თასის გათამაშებისას მინსკელმა ვ. ტორშინმა პისტოლეტიდან სილუეტებზე სწრაფსროლაში 598 ქულა მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი გაიმეორა.

ჩემპიონატს გახსნიან ჩემპიონები

Argentina'78

ბუენოს-აირესი, 16 იანვარი. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან წინა შეჯიბრების მსოფლიო ჩემპიონები გფრ-ის ფეხბურთელები და პოლონეთის ნაკრები გუნდი. ეს მატჩი შედგება არგენტინის დედაქალაქის „რივერ პლეიტის“ სტადიონზე 1-ლ ივნისს. ასეთია ერთ-ერთი „გადაწყვეტილება“ მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრისა, რომელიც აქ გაიმართა.

წილისყრამ, რომლის დროს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის შვილიშვილმა 4 წლის რიკარდომ ამოიღო კაპსულები გუნდების სახელწოდებებით, 16 ფინალისტი ოთხ შესარჩევ ჯგუფად ასე გაყო:

I ჯგუფი
არგენტინა
უნგრეთი
საფრანგეთი
იტალია

II ჯგუფი
პოლონეთი
გფრ
ტუნისი
მექსიკა

III ჯგუფი
ავსტრია
ესპანეთი
შვეიცია
ბრაზილია

IV. ჯგუფი
ჰოლანდია
ირანი
პერუ
შოტლანდია

შესარჩევი თამაშების შემდეგ ორი ფინალური ჯგუფები შედგება: „ა“ ჯგუფი — პირველ და მესამე ჯგუფებში გამარჯვებულები და II ადგილზე გასულნი მეორე და მეოთხე ჯგუფებში; „ბ“ ჯგუფი — მეორე და მეოთხე ჯგუფებში გამარჯვებულები და II ადგილზე გასულნი პირველ და მესამე ჯგუფებში. თითო ჯგუფში შედგება სამი შეხვედრა, რომელიც გამოავლენს ფინალური მატჩის მონაწილეებსა და მესამე ადგილისთვის მებრძოლებს. ფინალი 25 ივნისს ბუენოს-აირესში გაიმართება.

ფინალისტები ექვანდენ

1 ივნისს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გფრ-ისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის მატჩით დაიწყება მეთერთმეტე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ბუენოს-აირესის კულტურის ცენტრში „სან მარტინში“ გამართულ წილისყრაში ფაქტიურად 11 ფინალისტი მონაწილეობდა, რამდენადაც 5 ფინალისტი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (ფიფა) და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წინასწარ იყო განაწილებული. არგენტინის ნაკრები სათავეში მოექცა პირველ ჯგუფს, გფრ-ის ნაკრები — მეორეს, ბრაზილიის მესამეს, ხოლო ჰოლანდიისა — მეოთხეს. ამას გარდა იტალიის გუნდი, როგორც ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, „ჩარიცხეს“ პირველ ჯგუფში.

წილისყრის შედეგებმა, რომლის შესაბამისად შეიქმნა ოთხი ჯგუფი (**პირველი** — არგენტინა, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი; **მეორე** — გფრ, პოლონეთი, ტუნისი მექსიკა; **მესამე** — ბრაზილია, ესპანეთი, ავსტრია, შვეიცია; **მეოთხე**— ჰოლანდია, შოტლანდია, ირანი, პერუ), ზოგიერთი მწვრთნელის ოპტიმისტური, ხოლო ზოგიერთის — პესიმისტური გამოსვლა გამოიწვია.

— ჩვენ კმაყოფილები ვართ წილისყრით, — ჟურნალისტებს განუცხადა მსოფლიო ჩემპიონების — გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა. — მთავარია, რომ ჩვენს ჯგუფში არ არის შოტლანდიის გუნდი, რომელიც ჩემის აზრით ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

— ჩვენ ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვედით — აღნიშნა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა მიშელ იდალგომ. — ოთხი გუნდიდან ნებისმიერს აქვს მეოთხედფინალში გასვლის შანსი.

— ჩვენ გავიმარჯვებთ ჯგუფში, — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა კლაუდიო კუტინიომ. — II ადგილზე კი ალბათ ავსტრიის ნაკრები გავა.

— ყველა ფინალისტს ერთნაირი შესაძლებლობა აქვს, — ასეთია არგენტინის გუნდის მწვრთნელის ლუის მენოტის აზრი.

ერთი სიტყვით, პროგნოზები ნებისმიერი დიდი შეჯიბრების აუცილებელი „დამატებაა“. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 16 ფინალისტის (რომლებიც წარმოადგენენ 255 შესარჩევ მატჩში მონაწილე 100-მდე გუნდს) შანსები ერთნაირია, ყოველ შემთხვევაში ჯგუფური ტურნირების დამთავრებამდე.

ფინალური მატჩი, რომელიც 25 ივნისს ჩატარდება, მსოფლიოს ახალ ჩემპიონს გამოავლენს (მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გადათამაშება მოხდება 27 ივნისს). წინა ჩემპიონატების გამარჯვებულები არიან ბრაზილიის (სამჯერ), იტალიის, ურუგვაის, გფრ-ის (ორ-ორჯერ) და ინგლისის ნაკრები გუნდები. (საკოესი).

მაღალი შეფასება

— **ეჰვი** არ მეპარება, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები უმაღლეს დონეზე ჩატარდება, — საკოესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საერთაშორისო სამყაროულო მძლეოსნობის ფედერაციის (იიაფ) ტექნიკურმა დელეგატმა **არტურ ტაკაჩმა** (იუგოსლავია).

ევროპის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ტაკაჩი, რომელიც ოლიმპიადაზე მძლეოსანთა ასპარეზობის პასუხისმგებელია, მოსკოვში იმყოფებოდა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვეით. მან მაღალი შეფასება მისცა მოსკოველი კოლეგების მიერ ჩატარებულ მუშაობას. იიაფ-ის წარმომადგენელი ეწვია ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონს და კმაყოფილი დარჩა დიდი სპორტული სარბიელის (სადაც 1980 წელს მძლეოსნები იასპარეზებენ) რეკონსტრუქციის ტემპით.

საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ტაკაჩმა ბევრი პრობლემა განიხილა, მათ შორის მსაჯობის საკითხიც. გაეცნო მარათონული რბენის მარშრუტსა და სპორტული სიარულის ტრასებს.

სტუმრის აზრით, ოლიმპიადა-80-ზე მოსალოდნელია მაღალი შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენაში.

ციტა შრომა როდი ხვირდება ახალბედას, რომ გორგოლაჭებზე, იალქნით, წინასწაროობის დაურღვევლად გაეშუროს საჭირო მიმართულებით. სპორტის ეს სახეობა, დიდად პოპულარული გახდა აშშ-ში.

ციგურები

მადონა დი კამპილიოს (იტალია) საციგურაზე დამთავრდა „სამი საციგუროს ტურნეს“ მეორე ეტაპის შეჯიბრება. ამ ასპარეზობის მონაწილეები ბოლო სტარტებს ინსბრუკში გამართავენ.

კამპილიოს საციგურაზე ქალთა შორის ყველაზე კარგად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ტ. ავერინა და ვ. გოლოვეჩინა, რომლებმაც მრავალჭიდში პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. ავერინა უძლიერესი იყო 1000 (1.25,98) და 1500 მეტრზე (2.12,49, ქვეყნის რეკორდი), ხოლო გოლოვეჩინამ 500 (42,98), 1000 (1.27,43) და 1500 მეტრზე (2.14, 69), III ადგილების მოპოვებით მრავალჭიდში 132,592 ქულა მოაგროვა და ავერინას 2,069 ქულით ჩამორჩა. 500 მეტრზე I ადგილი დაიკავა ლ. სადჩიკოვამ — 42,34.

სამაგიეროდ, ვაჟებში სპრინტერთა შორის იმარჯვა ჰ. ბუშემ (გფრ) — 159,125 ქულა, ხოლო დიდი მრავალჭიდის მონაწილეთა შორის ჰოლანდიელ ვან ჰელდენს ბადალი არ ჰყავდა — 165,734 ქულა. ბ. ტიმოფეევი საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო, რომელმაც V ადგილი დაიკავა — 168,280.

საბჭოთა მოციგურაოეების ერთი ჯგუფი ინსბრუკში „სამი საციგუროს ტურნეს“ მესამე ეტაპზე ცდიდა ძალას. ქალთა შორის 500 მეტრზე სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — კრასნოვამ 42,31 წამი აჩვენა, სადჩიკოვამ — 42,51, გოლოვეჩინამ — 43,31.

მეორე დღეს ამავე დისტანციაზე კრასნოვამ საციგუროს რეკორდი დაამყარა — 41.99. ამჯერად II ადგილზე გავიდა პოლონელი ე. რისი — 42,79, სადჩიკოვამ III ადგილზე გადაინაცვლა — 42,90.

საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო 1000 მეტრზეც. აქ I და II ადგილები დაიკავეს სადჩიკოვამ — 1.25,19 (საციგუროს რეკორდი) და გოლოვეჩინამ — 1.25,95. III ადგილზეა კანადელი ბულა — 1,27,26.

ვაჟებში ამარჯვეს გფრ-ის წარმომადგენლებმა: 500 მეტრზე ფეტერმა (გფრ) — 38,98, 1000 მეტრზე — მისმა თანაგუნდელმა დიტელმა — 1.18,9.

ნორვეგიის ქალაქ ჰოლმენკოლენში დამთავრდა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის მოციგურავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. მასპინძლებმა ხაბოლოო ჯამში 30 ქულის უპირატესობით გაიმარჯვეს — 243:213. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ საბჭოთა გუნდში მისი ყველა უძლიერესი წევრი არ იყო.

ფრენბურთი

ხარკოვსა და ტალინში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების მე-40 საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.

ხარკოვში უკანასკნელი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩგს (ოდესა) — „სპარტაკი“ (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) 3:1, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) 3:1, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 3:0, ჩგს — „დინამო“ 1:3, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ 1:3, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „ავტომობილისტი“ 1:3. ახლა „ავტომობილისტს“ 5 ქულა აქვს, „ლოკომოტივს“ — 4, „დინამოს“ — 3, ჩგს-ს — 2, ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს — 1, „სპარტაკს“ — 0.

ტალინში ბოლო მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) — „მოტორი“ (მინსკი) 1:3, ცსკა — „რადიოტექნიკა“ (რიგა) 3:1, „კალევი“ (ტალინი) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 2:3, ცსკა — „ზვეზდა“ 3:1, „რადიოტექნიკა“ — „ლოკომოტივი“ 3:1, „კალევი“ — „მოტორი“ 0:3. ცსკა-ს 5 ქულა აქვს, „რადიოტექნიკას“, „მოტორს“ — 3-3, „კალევს“ — 2, „ზვეზდას“, „ლოკომოტივს“ — 1-1.

ბაკოში კი სტარტი აიღო ფრენბურთელ ქალთა გუნდების მე-40 საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურმა.

პირველი დღის მატჩები ასე დასრულდა: სკიფი (კიევი) — „კიროვეცი“ (ნოვოსიბირსკი) 1:3, „ავტომობილისტი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 3:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — ცსკა 0:3, „დინამო“ (მოსკოვი) — „ავრორა“ (რიგა) 3:1, „ისკრა“ (ვოროშილოვგრადი) — „ურალოჩკა“ (სვერდლოვსკი) 2:3, მოპი (მოსკოვის ოლქი) — „ნეფთჩი“ (ბაკო) 0:3.

საუკეთესონი

სოფია. გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ საიუბილეო ანკეტის მონაწილე 128 სპორტულმა ჟურნალისტმა 1977 წლის № 1 სპორტსმენად აღიარა **ტოტკა პეტროვა.** პეტროვა დიუსელდორფში 800 მ რბენაში მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვებული და უნივერსიადა-77-ის ორგზის ჩემპიონია (800 და 1500 მ რბენა).

პეტროვას გარდა ანკეტაში 42 სპორტსმენი იყო დასახელებული. ათეულში შევიდნენ ნ. დინეევი (კლასიკური ჭიდაობა), ჰ. პოპანგელოვი (სამოთხილამურები), დ. იანკიევი, თ. მრინკოვი და ს. სტაიკოვი, ნ. იანკიევა, ზ. მინჩევა, ვ. მინჩევა და რ. ბრიანოვა (ყველა — აკადემიური ნიჩბოსნობა), ვ. ხრისტოვი (ძალოსნობა), ს. დელჩევი (სპორტული ტანვარჯიში), ჰ. პეტროვი (მძლეოსნობა), ი. ლებანოვი (სათხილამურო სპორტი), ვ. დმიტროვა (მძლეოსნობა).

პარიზი. გაზეთ „ეკიპის“ ექიურიმ ცნობილი ფეხბურთელი **მიშელ პლატინი** გამოაცხადა 1977 წლის საფრანგეთის „ჩემპიონთა ჩემპიონად“.

„ეკიპის“ აზრით, პლატინი მთელი წლის განმავლობაში ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იყო, წარმატებებს მიაღწია არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე.

გაზეთ „ეკიპის“ ექიურიმ გამოაქვეყნა საფრანგეთის შარშანდელ საუკეთესო სპორტსმენთა სია: 1. მ. პლატინი (ფეხბურთი), 2. ბ. ინო (ველოსპორტი), 3. ე. სეკრეტენი (მაგიდის ჩოგბურთი) და მ. ტრეზორი (ფეხბურთი), 4. ჟ.-მ. აგირი (რეგბი), 5. ბ. ტევენე (ველოსპორტი), 6. ჟ. ბოსტი (ველოსპორტი), 7. ჟ. რუსო (მძლეოსნობა), 8. ჟ.-ბ. პიედვაში (კრივი) და ჟ.-პ. რივი (რეგბი) (საკოესი).

მძლეოსნობა

ვაშინგტონის დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც კანადელმა გ. ჯომ სიმაღლეზე ხტომაში ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა ამერიკელ გ. სტოუნის ოფიციალური მსოფლიო მიღწევა.. ჯო „ფოსბიურით“ 231 სმ სიმაღლეს გადაეკვეტა.

1500 მეტრზე რბენაში ამერიკელმა დ. ბიურკლმა მსოფლიო რეკორდსმენთან ტანზანიელ ფ. ბეისთან ორთაბრძოლაში 3.54,6 აჩვენა და დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევა დაამყარა.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის პოპულარული, გარდა ორშაბათისა და კვირასა. რედაქციის მისამართი: ვაზიანი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 98-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; მახუტხმგებელი მდივანი — 98-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 98-97-56; მახობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 98-97-53; ჭადრაკის — 98-97-26; სამხატვრო — 98-97-52; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამომშვები — 98-98-61; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მემანქანეები — 98-97-51.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЭ 01924